# ვიმუშაოთ უფრო ნაყოფიერად, უფრო ხარისხიანად!

**მივაღწიოთ მაღალ პასუხისმგებლობას და უმკაცრეს დისციპლინას მეურნეობის ყველა რგოლში!**

ბიბლიოთეკა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
ორშაბათი
12 მარტი
№ 61 (17406)
ფასი 2 კაპ.


## ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა გამოავლინა საბჭოთა საზოგადოების ურღვევი იდეური და სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის დიადი ძალა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის შეკავშირება ლენინური პარტიის გარშემო.

11 მარტს კრემლში სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მოწმობა გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ბაუმანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ი. სემუშკინმა.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა რომ მიიღო, მხურვალე და გულითადი მადლობა უძღვნა დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, ყველა მოსკოველს დიდი ნდობისა და პატივისათვის, რომელიც დასდეს, როცა აირჩიეს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატად.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება დიდი ლენინის საქმეს, კომუნისტური პარტიის იდეალებს, საბჭოთა ხალხს, კომუნიზმის საქმეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ხაზი გაუსვა მან, მკაფიოდ გამოხატავს პარტიისა და ხალხის ურღვევ კავშირს. ეს არის საფუძველი ჩვენი წინსვლისა მიზნისაკენ, რომელსაც ვესწრაფვით, — კომუნიზმისაკენ.

მოწმობის გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი და პარტიის მოსკოვის ბაუმანის რაიკომის პირველი მდივანი ს. ა. კუპრეევი. (საკდესი).

# თავდადებული შრომის დამაგვირგვინებელი ჯილდო

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა კრება

**...1979 წლის** 11 მარტი. საზეიმოდ არის მორთული საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. სცენის სიღრმეში მოჩანს მშრომელთა ბელადის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სკულპტურული ფიგურა. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშას ამშვენებს სამშობლოს ჯილდოები — ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები. ყოველ ხუთ წუთში დროშებთან საპატიო ყარაულში იცვლებიან მეომრები.

დარბაზში შეიკრიბნენ მონაწილენი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებისა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რითაც იგი დაჯილდოვდა 1978 წელს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

აქტივის კრებას ესწრებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროების, უწყებებისა და რესპუბლიკური დაწესებულებების, მსხვილი საწარმოების, მშენებლობების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა არმიის მეომრები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები.

კრების მუშაობაში მონაწილეობს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ი. შიბაევი.** მასთან ერთად კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჩითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი** და **ჟ. კ. შარტავა.** აქვე არიან რესპუბლიკისათვის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის გამო ზეიმზე ჩამოსული სტუმრები: აზერბაიჯანის სსრ დელეგაცია აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ჰ. ნ. სეიდოვის** მეთაურობით და სომხეთის სსრ დელეგაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. **პ. პ. ანისიმოვის** მეთაურობით, საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. **რ. ვ. დოლგოპოლოვი.**

კრების პრეზიდიუმში არიან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების — საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულების წარმომადგენლები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. ა. პატარიძემ.**

უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე **ბრეჟნევის** მეთაურობით.

დღის წესრიგშია საკითხი: „1978 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1979 წლის 2 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან“.

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ა. ი. შიბაევს,** მან მხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს დამსახურებული საპატიო ჯილდო, და გულითადად მიესალმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით, უსურვა ახალი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

იწყება საქართველოს სსრ ხელმძღვანელებისა და მშრომელთა წარმომადგენლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. **გ. ნ. კურტანიძეს,** ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ამხ. **ვ. გ. მეუნარგიასა** და ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის მეღორეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. **ც. ნ. შაბალაიძეს** სცენაზე გამოაქვთ დროშა და მას ამხ. **ა. ი. შიბაევს** გადასცემენ. დროშას იბარებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ე. ა. შევარდნაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **პ. გ. გილაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ზ. ა. პატარიძე,** საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **თ. ი. მოსაშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ჟ. კ. შარტავა,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **გ. გ. აბაშიძე,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ო. ა. ლომიძე,** ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის კოლმეურნე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ნ. რ. ბარამიძე,** ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ბ. ი. ვაშაკიძე,** გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. **თ. შ. შოშიაშვილი,** მესტიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ლ. გ. ნიჟარაძე,** ლენინგორის რაიონის ზახორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **დ. ვ. ელოევა,** გუდაუთის რაიონის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. **ხ. კ. აიბა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ი. გ. გვერდწითელი,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. **ტ. ვ. როსტიაშვილი.**

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას. ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ბ. ვ. ადლეიბა,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გ. დ. გაბუნია,** გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. **თ. შ. შოშიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ა. ჩოჩიევი,** მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიე ამხ. **ლ. ი. სკამკოჩაშვილი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. **ო. თ. კულიშევი,** საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ნ. ო. ნადარაია,** მარნეულის რაიონის სადახლოს მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. **მ. ა. ხალილოვი,** საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **დ. ვ. მანჯგალაძე,** ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ამხ. **მ. ა. აკოფიანი,** 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ა. კოპლატაძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ამხ. **ვ. მ. ოკუჯავა,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ამხ. **ი. ე. ნონეშვილი.**

საქართველოს ყველა კომუნისტს, მშრომელს გულითადად მიესალმნენ და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა მიულოცეს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელებმა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ჰ. ნ. სეიდოვმა** და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. პ. ანისიმოვმა.**

კრებაზე მიიღეს მიმართვა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

მიიღეს აგრეთვე იმ ძირითად ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელთა მიზანია 1979 წლის 2 მარტს ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების პროპაგანდა და რეალიზაცია.

ერთ-ერთი შესვენების დროს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას, სომხეთის სს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის 1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

კრებამ მკაფიოდ ცხადყო მშრომელთა შეკავშირება ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

* * *

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. (საქინფორმი).



თბილისი. 11 მარტი. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

ვლ. ბინზბურგის („კომუნისტი“) და გ. კიკვაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტს,

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

# ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

**ჩვენ,** საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი, მხურვალე და გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, მოგახსენებთ პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, საბჭოთა ადამიანზე, სოციალისტური სამშობლოს აყვავებაზე, მისი ძლიერებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებაზე უდიდესი ზრუნვისათვის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი, თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის საჭიროებებისადმი განუწყვეტელი ყურადღებისათვის.

ჩვენ განვიხილეთ 1978 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დავსახეთ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების საფუძველზე.

ლეონიდ ილიას ძის ეს შთამაგონებელი სიტყვა საბჭოთა ადამიანებზე, მშრომელ ადამიანებზე მამობრივი ზრუნვითა და დიდი გულთბილობით არის გამსჭვალული, ეს სიტყვა, ისევე როგორც ყოველი მისი გამოსვლა, ყოველი წიგნი, ყოველი ნაშრომი, საბჭოთა ხალხს ახალ ძალ-ღონესა და ახალ ენერგიას მატებს, ფრთასასხამს კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

დღეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ნამდვილი შრომის დღესასწაულია. რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომა, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მისი წარმატებანი მეექვსე წელია ზედიზედ აღინიშნება სამშობლოს მაღალი ჯილდოთი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ექვსი დროშა — ეს არის ზრდის ექვსი საფეხური, ექვსი მწვერვალი, რომლებსაც მიაღწიეს რესპუბლიკის მშრომელებმა, მიზანსწრაფულად რომ ახორციელებენ საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებებს.

მეათე ხუთწლედის პირველმა სამმა წელმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ შესანიშნავი შედეგები მოაქვს საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების კურსს. ამის მკაფიო დადასტურებაა ის შრომითი წარმატებანი, რომლებიც 1978 წელს მოიპოვა საბჭოთა საქართველომ.

საქართველოს სს რესპუბლიკამ პირველი ადგილი დაიკავა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით, ერთიორად გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა.

საბჭოთა მეჩაიეობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მიღებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი — 480 ათასი ტონა.

ქართული მევენახეობის ისტორიაში პირველად სოფლის მშრომელებმა გადააბიჯეს ნახევარმილიონიან მიჯნას — სამშობლოს მისცეს 575 ათასი ტონა ყურძენი.

სამრეწველო დენი გამოუშვა უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის სამმა აგრეგატმა, რომლის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადი მისალმება დაიმსახურეს.

შესანიშნავი წარმატებანია მიღწეული კაპიტალური მშენებლობის, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში.

რესპუბლიკის ეს მიღწევები განაპირობა ადამიანთა გაზრდილმა შრომითმა და პოლიტიკურმა აქტიურობამ, სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების ზუსტმა დაცვამ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ამაღლებამ. რესპუბლიკის წარმატებანი იმ ჭეშმარიტად მამობრივი ზრუნვის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც საბჭოთა საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის იჩენენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, იჩენთ პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მაღალი შეფასების დამაჯერებელი დადასტურება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება.

საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, თუ რა ყურადღებას იჩენს და რა დახმარებას უწევს ჩვენს რესპუბლიკას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, თანამიმდევრული მარქსისტ-ლენინელი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, და დიდად ემადლიერებიან მას ამისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელმა არჩევნებმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა სოციალისტური წყობილების ნამდვილი დემოკრატიზმი, რომელსაც განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ახალი ძირითადი კანონი ამკვიდრებს, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მშრომელთა მონოლითური შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სავსებით მოწონება. ეს პატრიოტული განწყობილება და მომავლის რწმენა მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების გზაზე ახალ მიღწევათა საიმედო საფუძველია.

საქართველოს სსრ მშრომელებმა მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს 1979 წლისათვის. გადაწყვეტილია სამრეწველო წარმოების მოცულობა გაადიდონ 7,2 პროცენტით და მიიღონ მისი მატების სულ ცოტა 82 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. სოფლის მეურნეობაში დასახულია გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით, გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 8 პროცენტით და გადააჭარბონ მეათე ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ მიჯნას.

რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებითა და რჩევით ხელმძღვანელობენ, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ ეს მაღალი ვალდებულებანი, მთელი თავიანთი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება მოახმარონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ვიღებთ რა სამშობლოს მაღალ ჯილდოს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას, ჩვენ, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი, საქართველოს სსრ ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, აღვითქვამთ პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია განუხრელად განამტკიცებენ ხალხთა ლენინურ მეგობრობას და ღირსეულად ატარებენ ამ დროშას კომუნიზმის მშენებლობის ახალი შრომითი გამარჯვებების გზით!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ხალხთა ბედნიერების, მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ბურჯს!

დიდება საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს, შემოქმედ ხალხს, რომელმაც მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება ააშენა!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი.**

ქ. თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

## მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის კერა

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, თბილისში, საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ბაზაზე გაიხსნა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტი.

11 მარტს კაბინეტს ესტუმრა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ი. შიბაევი. მასთან ერთად იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. ნ. სეიდოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. პ. ანისიმოვი.

აქ მათ დაათვალიერეს მეთოდიკური კაბინეტი, შრომითი დიდების მუზეუმი და სპეციალიზებული ბიბლიოთეკა. სტუმრებს გააცნეს კაბინეტის მიზნები და ამოცანები, მუშაობის ფორმები, აქ შექმნილი სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს საქმიანობა, რომელშიც გაერთიანებული არიან მეცნიერები — ეკონომისტები, ისტორიკოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, იურისტები და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტის თანამშრომლებს მისცეს რჩევა-დარიგება, თუ როგორ წარმართონ უკეთ მისი მუშაობა, როგორ განსაზღვრონ უფრო ზუსტად კაბინეტის დებულებაში მისი ფუნქციები და ამოცანები, ჩააბან მის საქმიანობაში სახალხო მეურნეობის მუშაკთა ყველაზე ფართო წრე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკური კაბინეტი უნდა გახდეს ნამდვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც დაამუშავებს მასების შრომითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების აქტუალურ პრობლემებს, უნდა გადაიქცეს მოწინავე გამოცდილების შესწავლის, პროპაგანდის, გაზიარებისა და დანერგვის ლაბორატორიად. (საქინფორმი).



# მშრომელ ადამიანებს — პატივი და დიდება!

## საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ი. შიბაევის გამოსვლა

**ძვირფასო ამხანაგებო!**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დამაკისრეს საპატიო მისია — საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადავცე გარდამავალი წითელი დროშა.

ეს საპატიო ჯილდო თქვენს რესპუბლიკას მიენიჭა როგორც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1978 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულს.

წითელი დროშის მინიჭება — ეს არის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების საქმიანობის მაღალი შეფასება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ყველა მშრომელის დიდი წვლილის აღიარება.

საგულისხმოა, რომ ოთხგზის ორდენოსანი საქართველო გარდამავალ წითელ დროშას ფლობს მეათე ხუთწლედის **სამივე წლის** განმავლობაში, და ყველა საფუძველი გაქვთ განამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის ყველა მუშაკს, სოფლის მშრომელებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, თქვენი მზიური, ძველი და მარად ახალგაზრდა მხარის ყველა მშრომელს ეს საპატიო და დამსახურებული ჯილდო!

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი რესპუბლიკისათვის წითელი დროშის გადმოცემა ხდება იმ საყოველთაო-სახალხო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ, მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიონის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

პარტიის საქმიანობის უმაღლესი აზრი ხალხის სამსახურია. და ამისათვის საბჭოთა ადამიანები ამას პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქმიანობისადმი დიდი ნდობით, მტკიცე და სრული მხარდაჭერით უპასუხებენ.

ლეონიდ ილიას ძის თვალსაჩინო დამსახურებამ აღიარება გამოხატა იმითაც, რომ იგი პირველი დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, და იმით, რომ ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებმა, ყველამ, როგორც ერთმა, ერთსულოვნად მისცა ხმა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატად მის არჩევას.

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს შევასრულო კიდევ ერთი სასიამოვნო დავალება: თქვენ და საქართველოს ყველა მშრომელს გულითადად მოგესალმოთ და მუშაობაში ყოველივე საუკეთესო გისურვოთ ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის განმტკიცებისათვის.

პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობის დამაჯერებელი დადასტურება, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების გამოვლინება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც მიმდინარეობდა ახალი კონსტიტუციის მოქმედების პირობებში. თითქმის 175 მილიონმა კაცმა — პრაქტიკულად ქვეყნის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და ხმა მისცა ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანება მოწმობს დიდ ენთუზიაზმს, რომლითაც საბჭოთა ადამიანებმა, ხუთწლედის პირველი სამი წლის მიღწევებზე დაყრდნობით გააჩაღეს მუშაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

ორი თვის მუშაობის შედეგები მოწმობს, რომ ხუთწლედის მეოთხე წელმა კარგი სტარტი აიღო.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკასთან ერთად გამარჯვებულებად აღიარებული და გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული არიან:

— საქართველოს დედაქალაქი თბილისი,

— აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,

— მსხვილი სამრეწველო ცენტრი ქუთაისი,

— აბაშის, ახმეტის, მახარაძისა და ხობის რაიონები,

— რესპუბლიკის 27 საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა.

12 კოლექტივი შეტანილია საკავშირო საპატიო დაფაზე.

ხუთწლედის ამოცანების შესრულებაში საქართველოს მშრომელებს, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას თავიანთი ხელწერა აქვთ. რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ერთგულნი, ისინი მუდამ არიან ყოველივე ახლის, მოწინავის წამომწყებნი, საქმით უპასუხებენ პარტიის მოწოდებებს და გადაწყვეტილებებს, აქტიურად იბრძვიან მისი პოლიტიკის განხორციელებისათვის. ჩაებნენ რა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ვადამდე შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1978 წლის გეგმა.

სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით 7,4 პროცენტით გაიზარდა სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული 7,1 პროცენტის ნაცვლად.

შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდების სოციალისტური ვალდებულებანი. წარმოების მოცულობის მატების 77 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

დიდი მუშაობა განხორციელდა პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის. ერთიორად და მეტად გაიზარდა წლის მანძილზე სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის რაოდენობა.

კარგად იშრომეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. პირველად საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისტორიაში დამზადდა 430 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 575 ათასი ტონა ყურძენი.

გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ციტრუსის დამზადების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის შესყიდვის პროგრამა.

შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ენგურის კასკადის მთავარი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა. მწყობრში ჩადგა 780 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის სამი აგრეგატი. პირველი აგრეგატის ამუშავებასთან დაკავშირებით მშენებლებმა და ექსპლოატაციის მუშაკებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მაღალი შეფასება და გულითადი მილოცვა დაიმსახურეს.

ამოქმედდა სხვა ობიექტებიც, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

რესპუბლიკის მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში შესაძლებელი გახდა იმ ყურადღების მეოხებით, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოები უთმობენ სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფას.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. კომისია ნაყოფიერ და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა. რესპუბლიკა **ზედიზედ მეექვსეჯერ** ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, როცა საქმიან თაოსნობებს შეეხო, პირველი დაასახელა მოძრაობა „ვიმუშაოთ უჩამორჩენლებოდ!“. ამ მოძრაობის განვითარებაში დიდი გამოცდილება შეიძინა თქვენმა რესპუბლიკამაც. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის პირველი მაისის რაიკომის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ინიციატივას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მშრომელთა უმრავლესობამ, იგი შრომითი წარმატებების გამრავლების ქმედითი საშუალება გახდა. სამი წლის მანძილზე **ჩამორჩენილ** საწარმოთა რიცხვი რესპუბლიკაში 2,5-ჯერ შემცირდა.

რესპუბლიკაში გავრცელდა ლენინგრადელთა საყურადღებო თაოსნობა მოიჯნავეთა და ერთიანი ტექნოლოგიური პროცესით დაკავშირებულ საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ.

ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის კარგი გამოცდილება შეიძინეს:

— თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის,

— „საქსამთოქიმმრეწვის“ წყალტუბოს სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების,

— თბილისის საშენ მასალათა კომბინატის,

— ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ლენინის ორდენოსანი № 1 სამშენებლო ტრესტისა და სხვა კოლექტივებმა.

საწარმოების ათასზე მეტმა კოლექტივმა, დაახლოებით სამი ათასმა ბრიგადამ, 35 ათასმა კაცმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკაში თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის წარჩინებულის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გიორგი ნიკოლოზის ძე კურტანიძის ბრიგადის ინიციატივას ყოველ სამუშაო ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების შესახებ.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში კარგი მაგალითი გვიჩვენა ამირან დიმიტრის ძე გელაშვილმა — ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ბრიგადირმა. მან ერთ-ერთმა პირველმა სსრ კავშირში გამოიყენა ზლობინის ბრიგადული იჯარის მეთოდი მრეწველობაში. მარტო უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ბრიგადის შრომის ნაყოფიერება ერთიორად გაიზარდა.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ბევრი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის მშრომელებმა.

რეკორდული მოსავალი გაახარა ქვეყანა ბრიგადირმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გივი ილიას ძე კეკელიშვილმა, რომელმაც 1978 წელს 160-160 ცენტნერი ყურძენი მოიწია ჰექტარზე.

მოწინავე მეველავმა [illegible] ლისტური შრომის გმირმა [illegible] ალხანიშვილმა ყოველ ძროხაზე მოწველა 4 ათასი კილოგრამი რძე — 200 კილოგრამით მეტი, ვიდრე ვალდებულებები ითვალისწინებდა.

მინდა მადლიერებით დავასახელო სოციალისტური შეჯიბრების კიდევ მთელი რიგი სახელოვანი მოწინავენი:

— ხარატი ტრიფონ ვახტანგის ძე როსტიაშვილი;

— ამწყობი ზეინკალი ბორის ილიას ძე ვაშაკიძე;

— კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ტრისტან ილიას ძე ქართველიშვილი;

— მოტორისტი მკერავი ნინო მიხეილის ასული პაპავა, რომელიც ძალიან გულთბილად მოიხსენიეს 4 მარტს ცენტრალური ტელევიზიის გადაცემაში „მეტი კარგი საქონელი“;

— სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გიორგი ივანეს ძე ცერცვაძე;

— მექანიზებული რგოლის ხელმძღვანელი ვალერიან გერმანეს ძე მეუნარგია;

— მოწინავე კოლმეურნეები სვეტლანა ხუშიტის ასული აბშიბა და ნადეჟდა რამაზის ასული ბარამიძე;

— მეველავი თამარ ალექსის ასული ტარაევა და ბევრი სხვა.

ნება მიბოძეთ დიდი მადლობა გადავუხადო ყველა მოწინავესა და ნოვატორს იმისათვის, რომ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს, იჩენენ ინიციატივასა და მამაცობას შრომაში, ვუსურვო მათ კვლავაც მაღლა ეპყრათ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების დროშა, ყოფილიყვნენ შრომისადმი ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი!

ამხანაგებო!

თქვენი მხარის — მადლიანი, ზღვიანი და რბილჰავიანი მხარის ბუნება საოცრად ლამაზია, ადამიანები თავაზიანნი, გამრჯენი და სტუმართმოყვარენი არიან. თქვენი ხალხის ისტორიისა და კულტურას საუკუნეთა სიღრმეებში აქვს ფესვი გადგმული. ყოველივე ეს საქართველოს ჩვენი ქვეყნის უდიდეს გამაჯანსაღებელ და ტურისტულ ცენტრად ხდის, სადაც სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოდიან საბჭოთა ადამიანებიც და უცხოელებიც. სამი წლის მანძი[illegible] კაცი [illegible]!

როგორც იტყვიან, ამხანაგებო, მუდამ ყველას თვალწინ ხართ, ეს კი რესპუბლიკის სოციალური სახის გარდაქმნისათვის მთელ მუშაობას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს.

ჩვენი პარტია და მთავრობა თანამიმდევრულად ზრდიან ღონისძიებებს სოციალური პროგრამის შესრულებისათვის. ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება თქვენს რესპუბლიკაშიც. დაჩქარებული ტემპით შენდება საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, წარმოებს მუშაობა შრომის პირობებისა და მისი დაცვის გაუმჯობესებისათვის, მცირდება საწარმოო ტრავმატიზმი, ვითარდება გამაჯანსაღებელი და ტურისტული დაწესებულებების ქსელი.

რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ხუთწლედის 3 წლის შედეგებით, ჩამორჩენა ცხოვრებისათვის მოუხერხებელი ბინების ლიკვიდაციის მხრივ, მთლიანად არ არის ათვისებული პროფკავშირთა საკურორტო და ტურისტული დაწესებულებების მშენებლობის სახსრები.

ყველა ეს საკითხი, ამხანაგებო, — საცხოვრებელი სახლები და საავადმყოფოები, სკოლები და სკოლამდელთა დაწესებულებანი, კურორტები და ტურისტული ბაზები — პარტიის სოციალური პროგრამის მოწინავე ხაზია. მათ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია კადრების სტაბილურობა, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება, შრომის დისციპლინის დონე, მორალური კლიმატი კოლექტივშიც და ოჯახშიც, საბოლოო ანგარიშით კი ჩვენი საერთო საქმის წარმატება.

მაგალითად, მინდა შევეხო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ეფექტიანობას: გასული ორი წლის მანძილზე სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებში მუშათა და მოსამსახურეთა გაჯანსაღების მასშტაბი 22 პროცენტით გაიზარდა, მშრომელთა დიეტური კვებისა — 17 პროცენტით.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო დაავადების შემცირებას. 1977 წელს წინა წელთან შედარებით

(დასასრული მე-3 გვ.)

# ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვიბრძოლოთ 1979 წლის გეგმებისა და ვალდებულებების სახელოვნად შესრულებისათვის!

## საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიმართვა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, ყველა მშრომელისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა საქართველოს შრომითი მიღწევების სახელოვან მატიანეში ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა: 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერებისათვის გაჩაღებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სხვა ძმურ რესპუბლიკებთან ერთად, გამარჯვებულად იქნა აღიარებული და ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

რესპუბლიკასთან ერთად მაღალი შრომითი ჯილდო მიენიჭათ აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, ქალაქებს თბილისსა და ქუთაისს, აბაშის, ახმეტის, მახარაძისა და ხობის რაიონებს, რესპუბლიკის ათობით ორგანიზაციასა და საწარმოს.

დღეს, როცა სამშობლოს მაღალ ჯილდოს ვიღებთ, თითოეული მშრომელი კვლავ და კვლავ გონების თვალს ავლებს გზას, რომელიც რესპუბლიკამ განვლო 1978 წელს. ეს ძნელი გზა იყო, მაგრამ მით უფრო შესანიშნავი და სასიხარულოა მისი შედეგი. სამრეწველო წარმოების მოცულობა წლის მანძილზე გაიზარდა 7,4 პროცენტით, ხოლო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა — ერთიორად და მეტად. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით ჩვენმა რესპუბლიკამ ქვეყანაში პირველი ადგილი დაიკავა.

მრავალი წლის მანძილზე პირველად შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა, და ამის შედეგად საექსპლოატაციოდ გადაეცა წინანდელზე გაცილებით მეტი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, კომუნალური ობიექტები. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ენგურჰესის სასიქადულო მშენებლებმა, რომლებმაც ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ უნიკალური მიწისქვეშა ელექტროსადგურის სამი აგრეგატი და რომელთა შრომასაც მაღალი შეფასება მისცა მისასალმებელ წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ჩვენს საერთო შრომით გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. 1978 წელს მიღებულია ყურძნისა და ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი. წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, ციტრუსისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მიყიდვის გეგმები.

კიდევ უფრო განვითარდა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის საშუალებანი, მეცნიერება და კულტურა, მომსახურების სფეროს დარგები. გეგმაზომიერად და მიზანდასახულად ხორციელდებოდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებანი.

ყველა ეს მიღწევა იმის შედეგია, რომ თავდადებით იღწვიან მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, გაიზარდა ორგანიზებულობა და დისციპლინა, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები, რომლებიც იღვწიან, რათა განუხრელად შევასრულოთ პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს კომუნისტური მშენებლობის საკითხებზე.

საქართველოს მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს ის სიტყვის დებულებები, დასკვნები და მითითებები, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 1979 წლის 2 მარტს წარმოთქვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. ამ სიტყვაში მოცემული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღრმა მეცნიერული ანალიზი, დასკვნები იმ საკვანძო ამოცანების თაობაზე, რომლებსაც უნდა მოვახმაროთ მთავარი ძალები და საშუალებანი, მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები და მეთოდები, გზის მანათობელ ორიენტირად ექნებათ კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს 1979 წლისა და მთლიანად ხუთწლედის მიჯნების მიღწევისას.

საქართველოს მშრომელთა 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებანი — ეს არის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა განსახორციელებლად გასაწევი პრაქტიკული მუშაობის კონკრეტული პროგრამა. ვალდებულებებით გათვალისწინებულია გაძლიერდეს ბრძოლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეათე ხუთწლედის ოთხი წლის დავალებათა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების საგრძნობი გადაჭარბებისათვის.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ხუთწლედის ოთხი წლის გეგმის შესრულება გათვალისწინებულია 1979 წლის 10 დეკემბრისათვის, ხოლო წლიური გეგმისა — 28 დეკემბრისათვის. სამრეწველო წარმოების მოცულობა წლის მანძილზე გაიზრდება 7,2 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 5,6 პროცენტით; ამასთან პროდუქციის მატების 82 პროცენტს მიიღებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. 1979 წელს გათვალისწინებულია გაგრძელდეს პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ეტაპობრივი დანერგვა 280 საწარმოში, გაიზარდოს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონა 15 პროცენტამდე, ათვისებულ იქნეს 200-ზე მეტი ახალი ნაკეთობის წარმოება, მნიშვნელოვნად შემცირდეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება.

რესპუბლიკის აქტივის კრება სამრეწველო საწარმოთა მუშებს, მოსამსახურეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ხელმძღვანელებს მოუწოდებს უზრუნველყონ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება, და ამ მიზნით ყველგან გაავრცელონ თაოსნობა — „ვიმუშაოთ უჩამორჩენლებოდ!“, დანერგონ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, განუხრელად დაიცვან მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმი, გამონახონ წარმოების დამატებითი რეზერვები.

პასუხსაგები ამოცანები დგას სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკების წინაშე. მათ სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა გეგმები უნდა შეასრულონ 1979 წლის 28 დეკემბრისათვის, შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა 100 მილიონი მანეთით, ვადამდე აამოქმედონ რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი სიმძლავრეები, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები.

საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშაკებმა უნდა მიაღწიონ გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა სრულ ათვისებას, მოახმარონ მთელი ძალები, სახსრები და რესურსები, უწინარეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესი ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას.

აქტივის კრებამ მშენებლებს მოუწოდა: — ყველაფერი, რაც 1979 წლის გეგმით არის დასახული, — ხარისხიანად და დროულად აშენონ.

1979 წლის სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებულია, რომ რკინიგზის ტრანსპორტმა დამატებით გადაზიდოს 200 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამდენივე — საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტმა; საავიაციო ტრანსპორტი გეგმის დამატებით გადაიყვანს 20 ათას მგზავრს, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტი — 3 მილიონ კაცს. დასახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს საქალაქო და სასოფლო სატელეფონო ქსელის დამატებითი სიმძლავრეები, კავშირგაბმულობის საშუალებათა სხვა ობიექტები.

აქტივის კრება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა მრავალათასიანი არმიის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა იმუშაონ უფრო აწყობილად და შეუფერხებლად, დააჩქარონ ტვირთის მიტანა, შეამცირონ არარაციონალური გადაზიდვა, ფუჭი გარბენი, დროის დანაკარგები დატვირთვა-გადმოტვირთვისას.

სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის წარმოება უნდა გაიზარდოს 8 პროცენტით, რაც 50 მილიონი მანეთით გადაამეტებს მეათე ხუთწლედის დამლევისათვის დასახულ მაჩვენებლებს.

სერიოზული ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციას, მელიორაციისა და ქიმიზაციას, მოსავლიანობის ზრდას.

წინასაარჩევნო სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაგვისახა მკაფიო ამოცანა: 1979 წელს უნდა გავაორკეცოთ ხორცის წარმოების მატება. რესპუბლიკის მეცხოველეებმა თავიანთ მოწოდებად უნდა მიიჩნიონ ამ ამოცანის შესრულება.

მუშებმა, კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სოფლის მეურნეობის ორგანოებმა, 1979 წელი უნდა გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად, მთელი მეცადინეობა და მატერიალური რესურსები მოახმარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს უბნებს, აამოქმედონ ყველა რეზერვი, რომელიც აქვს თითოეულ მეურნეობას, ყოველ ბრიგადას, ფერმას. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა წარმატებით და უდანაკარგოდ დავამთავროთ პირუტყვის გამოზამთრება, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე განვახორციელოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, უზრუნველვყოთ ნათესებისა და მრავალწლოვანი ნარგავების ჯეროვანი მოვლა-პატრონობა. გავზარდოთ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა, თითოეულ მეურნეობაში შევქმნათ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა. საჭიროა მკვეთრად ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის ხარისხი, გავაჩაღოთ ყოველგვარი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ფართო კამპანია, გადაჭრით აღვკვეთოთ უყაირათობის, უპასუხისმგებლობისა და მფლანგველობის ფაქტები. აქ წარმატების საზომი, როგორც თავის წინასაარჩევნო სიტყვაში აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, უნდა გახდეს არა მარტო მოწეული მოსავალი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის, რასაც ვაწვდით მომხმარებელს — მაღაზიებს, საკოლმეურნეო ბაზრებს, საბჭოთა ადამიანების სუფრას. ეს მთელი მეცადინეობის საბოლოო შედეგია და იგი უმთავრესად უნდა მივიჩნიოთ.

მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს რესპუბლიკის სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამა გვაქვს შესასრულებელი.

საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 10 ათასი კვადრატული მეტრი ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულება, საავადმყოფო და ჯანმრთელობის კერა, დაჩქარდეს იმ მოქალაქეთა შესახლება კეთილმოწყობილ ბინებში, რომლებიც დღესდღეობით ბარაკებსა და სარდაფებში ცხოვრობენ.

ბევრი რამ გაკეთდება მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

185 მილიონი მანეთით გაიზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა.

მიმდინარე წელს, რომელიც ბავშვის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული, განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რომ ჩვენი მრეწველობა უშვებდეს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ფართო ასორტიმენტის საბავშვო პროდუქციას.

კეთილშობილური და საპატიო ამოცანები უნდა გადაწყვიტონ მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა, რესპუბლიკის მთელმა ინტელიგენციამ. ჩვენი შემოქმედებითი კადრების მთელი მრავალმხრივი საქმიანობა გამსჭვალული უნდა იყოს ადამიანის, მისი სულიერი სამყაროს, მსოფლმხედველობის, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებების გამომუშავებისათვის ზრუნვით. სოციალური განვითარების 1979 წლისა და მთლიანად ხუთწლედის პროგრამის განხორციელებაში ინტელიგენციას შეუძლია და უნდა შეასრულოს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი.

საბჭოთა ხალხის შესანიშნავი ტრადიციისამებრ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის — ვ. ი. ლენინის დაბადების დღე მასობრივი კომუნისტური შაბათობით აღინიშნება ხოლმე. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გამართულ კომუნისტურ შაბათობებში მონაწილეობა მიიღო 6 მილიონზე მეტმა კაცმა, რომლებმაც აწარმოეს 36 მილიონ 250 ათასი მანეთის პროდუქცია. წლევანდელი ლენინური შაბათობა გახდება წარმოების რეზერვების, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის დათვალიერების, უდიდესი შრომის ნაყოფიერებისა, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების დღე.

უახლოეს ხანს ყველგან უნდა მოეწყოს გამოუყენებელი წარმოების რეზერვების დათვალიერება, განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად. ზრდის დამატებითი რეზერვების გამოვლენის პროცესში გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ სამეურნეო მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი, დავამკვიდროთ მომჭირნეობა და ყაირათიანობა, უკომპრომისო ბრძოლა ვაწარმოოთ ყოველგვარი დანაკარგების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ.

ეკონომიკური განვითარების რეზერვების ძიებაში სერიოზული წვლილი შეტანა შეუძლიათ სახალხო კონტროლის ორგანოებს, მათ უნდა იღვაწონ იმ რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, რომლებიც რესპუბლიკას აქვს.

დღეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობა გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მეცნიერებისა და წარმოების კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ფუნდამენტური კვლევისა და გამოყენებითი ნაშრომების დონის ამაღლებას, მეცნიერების მიღწევათა უსწრაფეს დანერგვას წარმოებაში.

საჭიროა ყოველმხრივ გავაფართოოთ და გავაღრმავოთ მეურნეობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მიმდინარე სოციალისტური შეჯიბრება, თანამიმდევრულად აღმოვფხვრათ შეჯიბრებაში ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმის ელემენტები. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ამაღლონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა როლი სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შინაგანი რეზერვების მობილიზაციის, მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში, ყოველნაირად განავითარონ შრომის ნაყოფიერების ზრდის პირადი და კოლექტიური კომპლექსური გეგმების შემუშავება-შესრულებისათვის გაჩაღებული მოძრაობა, განახორციელონ ღონისძიებანი შეჯიბრების მონაწილეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფისათვის, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ ისინი მუშაობის საბოლოო შედეგებს.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია მოწოდებულია დარაზმოს ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, სპეციალისტები და მეცნიერები 1979 წლის დამკვრელური მუშაობისათვის. სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობას შეუძლია მეტი წვლილი შეიტანოს საერთო მიღწევებში, რისთვისაც უნდა ჩაებას ტექნიკურ შემოქმედებაში, მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად გაისარჯოს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მესამე შრომითი სემესტრის პერიოდში.

დიდმნიშვნელოვანი მისია აკისრიათ რესპუბლიკის იდეოლოგიურ დაწესებულებებს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს, პროპაგანდისტებს, პოლიტმომხსენებლებსა და აგიტატორებს, რომლებიც მოწოდებული არიან ღრმად აშუქებდნენ სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკას, ფართოდ უწევდნენ პროპაგანდას მოწინავე კოლექტივების, წარმოების ნოვატორების, კომუნისტური შრომის დამკვრელების მუშაობის გამოცდილებას, იღვწოდნენ ამ გამოცდილების მასობრივი გავრცელებისათვის.

ჩვენ კვლავაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით და ვიღვწოთ, რათა ამაღლდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის დონე ეკონომიკის საკითხთა გადაწყვეტაში, გაძლიერდეს მათი როლი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმაში სოციალისტური კანონიერების დარღვევის, კრიტიკის ჩახშობის, საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში. ამისათვის საჭიროა ყოველნაირად სრულვყოთ საბჭოების მუშაობის სტილი, წარვმართოთ იგი ფართო საჯაროობის, მასებთან უშუალო, დაინტერესებული ცოცხალი კავშირის, მშრომელთა მოთხოვნებისა და მოსაზრებებისათვის გათვალისწინების საფუძველზე.

რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში ჩვენი წარმატების საწინდარი ის არის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიული ორგანიზაციების კავშირი მშრომელთა მასებთან, განვავითაროთ მათი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, სრულვყოთ ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, ამის საწინდარია ჩვენი კადრების მისწრაფება — მიაღწიონ თავიანთ საქმიანობაში მაქსიმალური კონკრეტულობა, ოპერატიულობა, საქმიანად მიდგომას.

ამ მიზნით მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას, კრიტიკულად შევაფასოთ მიღწეული შედეგები, ვიყოთ შეურიგებელნი ნაკლოვანებებისადმი, განვავითაროთ კადრების ინიციატივა და ავამაღლოთ მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, მკაცრად გავაკონტროლოთ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება, ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი საწარმოო დავალებების შესრულებაში, იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია კვლავაც იხელმძღვანელებენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, იმ დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში, ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ წინასაარჩევნო სიტყვაში; ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, 1979 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, და ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში.

**მიღებულია 1979 წლის 11 მარტს საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.**

# მშრომელ ადამიანებს — პატივი და დიდება!

(დასასრული)

[illegible]

ფლიოში კიდევ უფრო განმტკიცდა, კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი. კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გავლენა მსოფლიო მოვლენების მთელ მიმდინარეობაზე.

ომის მომხრეთა პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. მაგრამ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულმა ძალებმა ფართო კამპანია გააჩაღეს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების წინააღმდეგ, განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ. ასეთ პოლიტიკას სულ უფრო უკავშირდება ჩინეთის ხელმძღვანელთა პოზიცია. მოახდინა რა უპრეცედენტო, თავხედური, ყაჩაღური თავდასხმა მეზობელ პატარა ქვეყანაზე — სოციალისტურ ვიეტნამზე, ჩინეთმა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი. შეულამაზებლად წარმოგვიდგა თვალწინ საერთაშორისო კონფლიქტების გამჩაღებლის პოლიტიკა, მტაცებლის პოლიტიკა.

საკადრისმა პასუხმა, რომელსაც ინტერვენტებს სცემენ ვიეტნამის გმირი შვილები, კვლავ დაადასტურა, რომ ვერავითარი აგრესორი ვერ გატეხს ხალხის ძალას, რომელიც შეკავშირებულია კომუნისტთა პარტიის გარშემო, დგას სოციალისტური ქვეყნების ძმების მხარდამხარ!

ამხანაგებო!

1979 წელს ჩვენი ქვეყანა წყვეტს უფრო რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს. ისინი განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელების წინასაარჩევნო გამოსვლებით.

ბაუმანის რაიონის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ერთხელ კიდევ მიაპყრო ჩვენი ყურადღება იმას, რომ მთავარი მიზანი, ეკონომიკური საქმიანობის ცენტრია წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის განუხრელი ამაღლება.

მაშ მოდით, ამხანაგებო, მეურნის თვალით გავხედოთ, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედში, როგორ გამოვიყენოთ უფრო სრულად ეკონომიკის აღმავლობის ეს მძლავრი ბერკეტი პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის თითოეულ სამუშაო ადგილას, თითოეულ საწარმოში, თითოეულ ორგანიზაციაში, თითოეულ დაწესებულებაში, საამქროში და დგანთან, ფერმასა და მინდორში.

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენ ქვეყანაში, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1979 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მიღებულია დაძაბული სოციალისტური ვალდებულებანი. ათასობით მშრომელმა ვალდებულება იკისრა თავისი ხუთწლედები შეასრულოს ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისათვის. შრომითი კოლექტივები ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ პირველი კომუნისტური შაბათობის მე-60 წლისთავსა და პირველი ხუთწლიანი გეგმისა და მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის 50-ე წლისთავს.

რაგინდ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ჩვენი წარმატებანი, ვერ დავჯერდებით ამას. არ დავჯერდეთ მიღწეულს, ვიაროთ აუცილებლად წინ, მივაღწიოთ აუცილებლად მეტს — ასე გვასწავლიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, ასე გვასწავლის პარტია.

პარტია მოგვიწოდებს მტკიცედ ვიაროთ ლენინური კურსით, რათა თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრება უფრო უკეთესი და სისხლსავსე გახდეს, რათა მუდამ თავს დაგვნათოდეს მშვიდობიანი ცა.

ამ კეთილშობილური მიზნებისათვის ღირს კარგად და დაძაბულად ვიშრომოთ!

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ სულითა და გულით მოგილოცოთ თქვენ, თქვენი სახით კი საქართველოს ყველა მშრომელს საპატიო ჯილდო, გისურვოთ შემდგომი წარმატებანი შრომაში, პირადი ბედნიერება, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა და გადმოგცეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებას გილოცავთ, მშობელო რესპუბლიკავ!

## საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა. ვიღებთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას, თქვა მან, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ საქმე ეხება პოლიტიკური, მორალური თვალსაზრისის უდიდეს გამარჯვებას, პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის იმ სტილს, რომელმაც ერთიან ოჯახად შეაკავშირა და მხარში ამოუყენა ერთმანეთს ადამიანები, ფრთა შეასხა მათ მაღალნაყოფიერი ერთობლივი შრომისათვის. ამ გამარჯვებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ მას გაერთიანებული მეცადინეობით სჭედდნენ ყველა ეროვნების ადამიანები, რომლებიც ერთიან შეკავშირებულ ოჯახად ცხოვრობენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

დღეს აფხაზეთი უპატაკებს სამშობლოს, რომ მეათე ხუთწლედის სამი წელი აღინიშნა მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის უმაგალითოდ მაღალი მაჩვენებლებით, სამრეწველო პროდუქციის წარმოების ამ პერიოდის დავალება რესპუბლიკამ გასული წლის 1 დეკემბრისათვის შეასრულა და გეგმის დამატებით გამოუშვა 33 მილიონი მანეთის ნაწარმი. წარმატებას მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც.

აფხაზეთის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ამხ. ბ. ვ. ადლეიბამ გულითადი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის განუხრელი ზრუნვისა და უდიდესი დახმარების გამო.

კრებაზე გამოსვლისას თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. გაბუნიამ** აღნიშნა, რომ ჩვენი შრომის შედეგების სადღესასწაულო შეჯამება ტრადიციული გახდა. ეს ტრადიცია იშვა ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, ყოველივე დრომოჭმულისა და ყავლგასულის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში. პარტიის ნება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტბიუროს ნება, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მამაშვილური ზრუნვა საბჭოთა საქართველოს დღევანდელი და ხვალინდელი დღისათვის გამარჯვებების გზით მიუძღოდა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ყველა მშრომელის სახელით ორატორი მიესალმა რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე ჩამოსულ სტუმრებს — აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების წარმოგზავნილებს და უსურვა მათ ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა საქართველოს, მისი პარტიული ორგანიზაციის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დედაქალაქის კომუნისტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ და სახელოვანმა ახალგაზრდობამ. მაგრამ მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ, ჩვენ უნდა განვავითაროთ, განვამტკიცოთ და ვამრავლოთ ყოველივე მიღწეული. სამეურნეო საქმიანობის შედეგები ესოდენ საგრძნობი არ გვექნებოდა, ეკონომიკის პრობლემებს სოციალური ამოცანების გადაჭრასთან მჭიდრო კავშირით რომ არ ვწყვეტდეთ. რა ამოცანასაც უნდა ასრულებდეს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია, ყველგან და ყველაფერში მისი მუშაობის თავიდათავია ადამიანებისათვის ზრუნვა. აქ მთელი სისრულით, მთელი მრავალფეროვნებით ვლინდება სიდიადე ჩვენი პარტიის მიერ გამოცხადებული ლოზუნგისა — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“.

ამასწინანდელმა XXXVII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ დასახა მთელი რიგი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენს განუხრელ წინსვლა-განვითარებას.

მეორე წელია ზედიზედ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მარნეულის რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ჯილდოვდება, თქვა მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა ამხ. **მ. ა. ხალილოვმა,** მარტო 1978 წელს რაიონის სოფლის მშრომელებმა აწარმოეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 56 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული, რაც 20 ათასი ტონით სჭარბობს ხუთწლედის პირველი წლის მაჩვენებელს.

ჩვენ უდიდესი ყურადღებით ვსწავლობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. ამ სიტყვაში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა, დასკვნებმა და მითითებებმა ბევრ რამეზე დაგვაფიქრა. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია დანაკარგებზე. დანაკარგები კი სოფლის მეურნეობაში ჯერჯერობით ძალზე ბევრია და მათი აღმოფხვრა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი რეზერვი გახდება.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა სახელით ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ამხ. **ო. თ. კულიშევმა** რესპუბლიკის მშრომელებს, მთელ მოსახლეობას მიულოცა დიდი შრომითი გამარჯვება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშის მოპოვება.

ამიერკავკასიელ მეომრებს კარგად ესმით, რომ ეს გამარჯვება საბჭოთა საქართველოს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის გმირული, თავდადებული შრომის შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან სიტყვაში, რომელიც 1979 წლის 2 მარტს წარმოთქვა ამომრჩეველთა წინაშე, ღრმად არის გაანალიზებული ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატებანი და გადასაჭრელი პრობლემები, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, განსაზღვრულია ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზები. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, თუ რა სიძნელეებს ქმნის მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების გზაზე იმპერიალიზმის რეაქციული პოლიტიკა და პეკინელ აგრესორთა თავხედური ყაჩაღური თავდასხმა ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე, და ხაზი გაუსვა, რომ პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საიმედოდ დაიცვან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, ჩვენი სამშობლოს უშიშროება.

ასრულებენ რა პარტიისა და ხალხის ამ განაწესს, ოლქის მეომრები დღენიადაგ იმაღლებენ საბრძოლო ოსტატობას. მეომრებს კარგად ესმით, რომ რაც უფრო მაღალია მერაკეტეთა, ტანკისტთა, მფრინავთა, მოტომსროლელთა გაწვრთნილობის დონე, მით უფრო მტკიცეა სოციალისტური სამშობლოს დამცველთა იდეური ერთობა და ნება, მით უფრო ძლიერია ხალხის რწმენა, რომ საბჭოეთის ზეცა ყოველთვის მოწმენდილი იქნება და არასდროს არ მოიღრუბლება, რომ ყოველგვარი აგრესიული გეგმა, ვინც უნდა იზრახავდეს მას, ჩასაფუშად არის განწირული. სწორედ ეს მიაჩნია თავისი მხედრული შრომის დედაარსად, კომუნიზმისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში თავის უშუალო წვლილად თითოეულ საბჭოთა მეომარს.

დასასრულ ამხ. ო. თ. კულიშევმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ პარტიისა და ხალხის, კომუნიზმის იდეალებისადმი უსაზღვროდ ერთგული ამიერკავკასიელი მეომრები ყოველთვის მზად არიან შეასრულონ თავიანთი კონსტიტუციური მოვალეობა — საიმედოდ დაიცვან სამშობლო და უკუაგდონ ნებისმიერი აგრესორი.

რესპუბლიკის შრომითს გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ჯავის რაიონის მშრომელებმა, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. ა. ჩოჩიევმა.** სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მშრომელები ილვწოდნენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. წარმატებით შეასრულეს გასული წლის გეგმები როკის უღელტეხილზე ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის მშენებლებმა, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა შორის შეჯიბრების შედეგების მიხედვით 1978 წელს მეორე ადგილი დაიკავეს კვაისის ტყვიათუთიის მადაროთსამმართველოს მშრომელებმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ყველა სახის პირუტყვის სულადობა.

ჩვენ შემუშავებული გვაქვს ყოველგვარი დავალების, სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

ამ ღონისძიებათა რეალიზაციაში უნდა დაგვეხმარონ რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, ხოლო რაიონის მშრომელები პირობას დებენ, რომ თავდადებით იბრძოლებენ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიემ ამხ. **ლ. ი. ხჯამკოჩაშვილმა** ყველა მეჩაიის, საქართველოს სსრ ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა უძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს მეათე ხუთწლედის მესამე წელს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რესპუბლიკის ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოებისათვის.

მახარაძელებმა უკვე მიაღწიეს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ მიჯნას: მარტო შარშან მათ სამშობლოს მისცეს 76 ათასი ტონა ნედლეული.

მეჩაიემ პირობა დადო, რომ წელს მოკრეფს 15 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ეს იქნება ჩემი წვლილი 432 ათას ტონაში, რომლის მოკრეფა გადაწყვიტეს საქართველოს მეჩაიეებმა, განაცხადა მან.

კოლხეთის დაბლობზე განლაგებული რაიონებიდან სამმა, სახელდობრ კი აბაშის, მახარაძისა და ხობის რაიონებმა, თქვა საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ნ. ო. ნადარაიამ,** გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები. ეს იყო კოლხეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის რთულ პირობებში უნარიანი მუშაობის შედეგი. კერძოდ, ჩვენს რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების დახვეწას, მომწიფებული პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის გზების ძიებას.

ყოველივე ამან დადებითი შედეგები მოგვცა. 1978 წელს რაიონმა წარმატებით შეასრულა არა მარტო გეგმის, არამედ სოციალისტური ვალდებულებების ყველა პუნქტი. თუ რაიონი შეინარჩუნებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის აღებულ ტემპს, შეძლებს ოთხ წელიწადში შეასრულოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმა. სწორედ ამას ისახავენ მიზნად რაიონის მშრომელები.

ტრიბუნაზეა 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ა. კოპლატაძე.** თითოეული ჩვენგანი გრძნობს დღეს, თქვა მან, რომ პირადი კავშირი აქვს რესპუბლიკის დიდ შრომითს გამარჯვებასთან, იცის, რა ფასად მივაღწიეთ ამას. ჩვენ მტკიცედ მივიწევდით მიზნისკენ და მივაღწიეთ მას. კერძოდ, ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა 1978 წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. გეგმის გადამეტებით გამოვუშვით თითქმის მილიონი მანეთის პროდუქცია. ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ჩვენთან 36 პროცენტს შეადგენს, ხოლო ბავშვთა ნაწარმის ხაზით — 43-პროცენტს. ეს მნიშვნელოვნად აღემატება არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საერთო საკავშირო მაჩვენებლებსაც. სწორედ ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ კოლექტივს მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა მთხოვეს უდიდესი მადლობა მომეხსენებინა პარტიისათვის მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასების გამო. მათ პირობა დადეს, რომ კვლავაც არ შეანელებენ სოციალისტური შეჯიბრების სწრაფ ტემპს და ეცდებიან ეს დროშა შეინარჩუნონ.

დღეს მე აქ გამოვდივარ მევენახეობის ფლაგმანის — გურჯაანის რაიონის მშრომელთა სახელით, თქვა თავის გამოსვლაში გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. **თ. შ. შოშიაშვილმა.** გურჯაანელთა წილად მოდის რესპუბლიკაში მოწეული მთელი ყურძნის მეხუთედი — 114 ათასი ტონა. ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან 13 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი მოკრიფა. ასეთი მოსავალი არასდროს არ მოგვიწევია. წელს რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ილვწის იმისათვის, რომ აწარმოოს 15-20 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო 1980 წელს გურჯაანელები დაამზადებენ 150 ათას ტონას, რითაც მთლიანად აღმოფხვრიან 1976-1977 წლებში წარმოშობილ განსხვავებას.

სიტყვა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, ყველა პარტიული ორგანიზაციის მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა, თქვა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **დ. ვ. მანჯგალაძემ.**

გასული წლის 14 დეკემბერს ბათუმის მრეწველობამ სამშობლოს უპატაკა მთლიანი პროდუქციის წარმოების ხუთწლედის სამი წლის გეგმის ვადამდე შესრულება. ქალაქის მრეწველობის ხარისხობრივი მაჩვენებლები ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში: ბათუმის საწარმოების 67 სახეობის ნაწარმი, ანუ საერთო მოცულობის 22 პროცენტი, ხარისხის ნიშნით გამოდის. სოციალისტური შეჯიბრების ასობით მოწინავე უპატაკებს ოთხი წლიური ნორმის შესრულებას, ხოლო ბათუმის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები პირადი ხუთწლედის ვადამდე შესრულებით შეხვდნენ დღევანდელ დღეს.

ბათუმი სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქალაქია. დღეს ჩვენი ამოცანაა გადავაქციოთ იგი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად.

სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს ამხ. **მ. ა. აკოფოვს.** რუსთაველმა მშრომელებმა ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო ჩვენი ტრესტის კოლექტივი გასული წლის შედეგებისათვის დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ჩვენ კარგად გვესმის: იმისათვის, რომ კვლავაც მოვიპოვოთ ასეთი გამარჯვებანი, დღენიადაგ უნდა ვიმუშაოთ დევიზით „ვიმუშაოთ დღეს გუშინდელზე უკეთ, ხოლო ხვალ დღევანდელზე უკეთ.“

მე ვხელმძღვანელობ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სააგლომერაციო ფაბრიკის მშენებლობაზე მუშაობს. გასული წლის გეგმა ჩვენ 7 ოქტომბრისათვის შევასრულეთ, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა — 4 მარტისათვის. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა გვაქვს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, თქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ამხ. **ვ. ოკუჯავამ,** ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მშრომელთა მიღწევებში. იგი ყველა ფუნდამენტური მეცნიერული ნამუშევრის ძირითადი ხელმძღვანელ-კოორდინატორია. ჩვენს დღეებში მეცნიერების განვითარების დამახასიათებელი ნიშანია ფუნდამენტურ და გამოყენებითს მეცნიერებათა ნაყოფიერი კავშირი, წარმოებაში კვლევის შედეგების დაჩქარებული დანერგვა. მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ ისეთი საარსებო პრობლემების დამუშავებაში, როგორიც არის, მაგალითად, გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლა, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ენერგეტიკული რესურსების რაციონალური და ეკონომიური გამოყენება და ა. შ. ისინი მონაწილეობენ აგრეთვე კოლხეთის დაბლობის, რესპუბლიკის გვალვიანი და მაღალი მთის რაიონების ათვისების, სოფლის მეურნეობის კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანის საკითხთა დამუშავებაში.

ახლა უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერული კადრებისა და პრაქტიკოსი მუშაკების მომზადების პრობლემას.

ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშრომელი ადამიანის ნამდვილი სადიდებელი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის პოეტ **ი. ნონეშვილის** გამოსვლა.

გამოდის აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ჰ. ნ. სეიდოვი.** მან რესპუბლიკის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, მოძმე საქართველოს სახელოვან პარტიულ ორგანიზაციას მიულოცა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი შრომითი გამარჯვების მოპოვება, საქართველოს სს რესპუბლიკის ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, და თქვა:

სამშობლოს მაღალი ჯილდო რესპუბლიკის ყველა მშრომელის თავდადებული შრომისა და შემოქმედებითი ენთუზიაზმის ღირსეული შედეგია, რომელიც მოიტანა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის მესამე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლამ. ეს გამარჯვება კანონზომიერი შედეგია იმ უდიდესი მიზანდასახული მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობისა, რომელსაც ეწევიან რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიურო, რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები.

მოძმე რესპუბლიკების ერთიან მძლავრ კავშირში ყვავის და მტკიცდება ჩვენი მშობლიური ამიერკავკასია, რომელიც ისტორიულად მოკლე ვადაში გადაიქცა თანამედროვე მძლავრი ინდუსტრიის, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის მხარედ. ჩვენი ხალხების მთელი გმირული ისტორიის მანძილზე დამკვიდრებული სახელოვანი რევოლუციური და ინტერნაციონალური ტრადიციები, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლო, დღესაც, მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის დღეებში, კომუნიზმის აშენების დიად საქმეს ემსახურება.

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, დამკვრელურად მუშაობენ საქართველოს მშრომელები, რომლებიც დროს უსწრებენ. ჩვენ გვახარებს ნიჭიერი ქართველი ხალხის შესანიშნავი მიღწევები სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

გილოცავთ შთამბეჭდავ წარმატებებს, თქვენთან ერთად ვამაყობთ და ჩვენეულად მიგვაჩნია თქვენი გამარჯვებები, რადგან ეს ჩვენი ძმობის, ჩვენი ერთიანობის, ჩვენი გულების მონოლითურობის გამარჯვებებია.

სულით და გულით გვახარებს მაღალი შეფასება, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, შეფასება, რომელიც იმით გამოიხატა, რომ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩიეს.

შემდეგ ამხ. სეიდოვმა ილაპარაკა აზერბაიჯანის მშრომელთა მიერ კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებულ მიღწევებზე, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უთვალსაჩინოესი მოვლენა, ნამდვილი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლა ქალაქ ბაქოში აზერბაიჯანის დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე. ბაქოში გამართულ ზეიმზე ლეონიდ ილიას ძის გამოსვლის დებულებები და დასკვნები, მისი ბრძნული რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები საფუძვლად დაედო აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის მთელ ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას, გახდა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამა. მაღალმა შეფასებამ, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, ფრთა შეასხა რესპუბლიკის მშრომელებს ახალი გამარჯვებებისათვის.

აზერბაიჯანის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებით გაანაღდეს 1978 წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც 1978 წელს რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში.

რესპუბლიკამ გულდაჯერებით დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი — დამკვრელური შრომის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით განსაზღვრული პროგრამის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული ამოცანების შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის წელი.

აზერბაიჯანელმა მშრომელებმა 1979 წლისათვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

ჩვენი მიღწევები პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მეგობრობის, ძმობისა და ურთიერთდახმარების პრაქტიკული შედეგია. უხვი ნაყოფი მოაქვს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას. იგი აერთიანებს სახალხო ინიციატივას ერთ აღმშენებლობითს პროცესად, შესაძლებლობას გვაძლევს ღრმად ვიგრძნოთ ერთობლივი შრომის ძალა, სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების სიხარული, იგი ჩვენი მეგობრობის უშრეტი წყაროა.

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობას საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული. საქართველოს შვილების ნიჭს, კეთილშობილებასა და შრომისმოყვარეობას, მის შესანიშნავ, განუმეორებელ ბუნებას სიყვარულით უმღერეს გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა პოეტებმა და მწერლებმა თავიანთ ნაწარმოებებში.

და დღესაც მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, მეცნიერების, ჩვენი მშრომელების მუდმივი კონტაქტები, შემოქმედებითი შეხვედრები ხელს უწყობს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობის განუხრელ განვითარებას, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის განმტკიცებას.

ძალებისა და შემოქმედებითი შთაგონების ახალ მოზღვავებას იწვევს მაღალი მიჯნები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, კომუნისტური აღმშენებლობის ახალი ჰორიზონტები. საპატიო ჯილდოს — სამშობლოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებით აღფრთოვანებულ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 1979 წელი გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად, მთელი მეათე ხუთწლედი აღნიშნონ ახალი საწარმოო მიღწევებით.

ტრიბუნაზეა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **პ. პ. ანისიმოვი.** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან მხურვალედ და გულითადად მიულოცა მოძმე საქართველოს მშრომელებს შესანიშნავი გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და რესპუბლიკის დაჯილდოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს ბრწყინვალე გამარჯვება რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული, შთაგონებული შრომის შედეგია. იგი მოპოვებულია იმ მიზანდასახული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით, რომელსაც ეწევა საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი.

დღეს განსაკუთრებით გვიხარია და კანონიერად ვამაყობთ იმასთან დაკავშირებით, რომ ამიერკავკასიის სამივე მოძმე რესპუბლიკა პირველ რიგებში დგას, საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებული არიან და 1978 წლის შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშები დაიმსახურეს.

ჩვენი წარმატებების საფუძველია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, ერთგული ლენინელის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანამიმდევრული, პრინციპული ლენინური კურსი.

დღეს, როცა ერთიანი სადღესასწაულო შემართებით არის გაერთიანებული მილიონთა გული, რომლებმაც შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, უფრო ღრმად, უფრო სრულად გვაქვს შეგნებული, თუ რა შესანიშნავი გარდაქმნები მოხდა საქართველოს მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში. როცა ყურს უგდებ საქართველოს შრომითს მაჯისცემას, ეცნობი რესპუბლიკის მშრომელთა სახელოვან პატრიოტულ საქმეებს, უდიდესი პატივისცემით იმსჭვალები იმათდამი, ვინც ქმნის და ამრავლებს საბჭოთა საქართველოს დიდებას. მშვენიერია მარად ახალგაზრდა, აყვავებული მოძმე საქართველო, რომელიც თანამედროვე პროგრესის მწვერვალებს ესწრაფვის, მშვენიერია მისი ნიჭიერი, გამრჯე, ამაყი და სტუმართმოყვარე ხალხი, რომელსაც სამური ცხოვრება დაუდგა და ყოველმხრივ ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას.

ჩვენი პარტიის ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ მთლიანად გაიმარჯვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ჩვენს ქვეყანაში ერების ურთიერთობის ნორმა გახდა. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმატებანი ნათლად ადასტურებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის გამარჯვებას.

უკვე ტრადიციული გახდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება — ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მუდმივი და დინამიკური ზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი. ამიერკავკასიის მშრომელები, რომლებიც იბრძვიან შრომაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ყოველნაირი ამაღლებისათვის, ავლენენ ურთიერთდახმარების შესანიშნავ მაგალითებს, კონკრეტულად და საქმიანად ეხმარებიან ერთმანეთს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული განვითარების დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ვხარობთ რა მეგობართა წარმატებებით, ვცდილობთ გადავიღოთ მოწინავე გამოცდილება, ყოველივე ძვირფასი, რაც იშვა პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. საინტერესო გამოცდილება შეიძინეს ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში. ბევრი რამ საგულისხმო აქვთ რუსთაველ მეტალურგებს, თქვენს შესანიშნავ მებაღეებსა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებს. კვლავაც განვაგრძობთ გამოცდილების რეგულარული ნაყოფიერი გაზიარების პრაქტიკას.

ამხ. ანისიმოვმა კრების მონაწილეებსა და მათი სახით მთელ მშრომელ საბჭოთა საქართველოს აღუთქვა, რომ სომხეთის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია თვალის ჩინივით გაუფრთხილდებიან სსრ კავშირის ხალხთა ლენინურ მეგობრობას, როგორც ჩვენს ყველაზე ძვირფას მონაპოვარს, ყოველნაირად განამტკიცებენ, განავითარებენ და გააღრმავებენ ჩვენს ძმურ ურთიერთობას.

შემდეგ ამხ. ანისიმოვმა ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც სომხეთის მშრომელებმა შარშან მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში, შეეხო მომავლის გეგმებს. 1978 წელი სომხეთის მშრომელებისათვის ნათელი, ღირსშესანიშნავი მოვლენებით იყო აღსავსე. ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა ზეიმობა, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში აღმოსავლეთ სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავს მიეძღვნა. რუსეთთან ძმურმა გაერთიანებამ უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა სომეხი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში, მოძმე ხალხების ერთიან ოჯახში საბჭოთა სომხეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს შესანიშნავ გარდაქმნებს მშობლიურ მიწა-წყალზე, იგი აყვავებულ მხარედ, მაღალგანვითარებული ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკად გადააქციეს.

რუსეთის შემადგენლობაში აღმოსავლეთ სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავის დღესასწაულობამ და მესამე ლენინის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოებამ, რაც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავს დაემთხვა, სომხეთის მშრომელთა შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. 80 ათასზე მეტმა მშრომელმა, ათობით საწარმომ და ორგანიზაციამ ხუთწლედის სამი წლის დავალებანი 1978 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულა. ვადამდე, 22 დეკემბერს შესრულდა მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვებისა და სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა. სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წონამ წარმოების საერთო მოცულობაში 13,5 პროცენტს მიაღწია. გადაჭარბებით შესრულდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ბევრი სახეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმები. გულდაჯერებით დაიწყო მშრომელმა სომხეთმა 1979 წელი.

ჩვენ ყველას, საბჭოთა ადამიანებს, გულწრფელად გვახარებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უდიდესი წარმატებანი. კომუნისტური პარტია — ლენინის დიადი პარტია — გულდაჯერებით მიუძღვის წინ საბჭოთა ხალხს კომუნისტური მომავლის მწვერვალებისაკენ. და ამ ისტორიულ გზაზე თითოეული რესპუბლიკის წარმატება ჩვენი საერთო წარმატება ხდება.

დიდი ოქტომბრის მიერ დაწყებული ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სახელოვანი მატიანე აღსავსეა ცხოვრებისეული ძალითა და სიდიადით, რადგან მას ქმნიან მარადიული და ურღვევი მეგობრობით გაერთიანებული მოძმე ხალხები. მასში თავმოყრილია ჩვენი ლენინური პარტიის ისტორიული გამოცდილება და სიბრძნე, მილიონობით მშრომელის ნება.

ამიერკავკასიის ხალხთა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის შესანიშნავი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები შთაგვაგონებენ ახალ მიღწევებს კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემდგომი აყვავებისათვის (საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

[illegible]

ქ. თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიალოგი ქართულ კინოზე

**გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში თბილისში გაიმართა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქართული კინოხელოვნების დღევანდელი მდგომარეობისა და მისი განვითარების პრობლემების განხილვას. სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ესტუმრა საქართველოს ტელევიზიას, სადაც გაიმართა დიალოგი ქართულ კინოზე. დიალოგში მონაწილეობდნენ ცნობილი კინორეჟისორები — სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სოციალისტური შრომის გმირი სერგი გერასიმოვი, ლევ კულიჯანოვი, ცნობილი ყირგიზი მწერალი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ჩინგიზ აიტმატოვი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ალექსანდრე კარაგანოვი. ქვემოთ „კომუნისტის" მკითხველი გაეცნობა ამ დიალოგის ჩანაწერს.**

**ს. გერასიმოვი:** სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს ყველა გასვლითი სხდომა, ჩვეულებრივ ფრიად გაცხოველებით მიმდინარეობს. მაგრამ, როცა დამთავრდა ჩვენი ახლანდელი სხდომა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირში, ერთხმად დავასკვენით, რომ თბილისში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ყველაზე ნაყოფიერი სჯა-ბაასი გაიმართა.

ეს სჯა-ბაასი გაგრძელდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში. ამხანაგ ედუარდ შევარდნაძესთან, ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან გამართულმა საუბარმა გვიჩვენა, რომ ჩვენ ერთი თვალსაზრისი გვაქვს ქართული კინემატოგრაფიის მდგომარეობაზე, იმ უაღრესად საინტერესო მოვლენებზე, რომლებიც აქ ხდება. საერთოდ, ჩვენ ყველანი ძალზე მაღალ შეფასებას ვაძლევთ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას.

ქართული კინოს ამ ბოლოდროინდელი მიღწევებიდან უწინარეს ყოვლისა მინდა გამოვყო „თუში მეცხვარე" — ფილმი, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ეს არა მარტო ოსტატის ხელით გაკეთებული პროფესიული ფილმია, არამედ თემის დაყენებისა და მისი გადაწყვეტის თვალსაზრისით ქართული კინემატოგრაფიის საეტაპო მოვლენაა. ეს ქათინაური კი არა, რეალობა გახლავთ.

ასევე ქების ღირსია ფილმი „პრემიერა", რომელიც მისი რეჟისორის დებიუტია. თემის მნიშვნელობა და კინემატოგრაფიული სტილის დონე დიახაც შესანიშნავია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაპარაკია დებიუტანტ რეჟისორზე.

შეგვეძლო გაგვეგრძელებინა სია. მაგალითად, ყველანი უდიდესი ინტერესით შევხვდით ლანა ღოღობერიძის ახალ ნამუშევარს „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", რომელიც უკვე აღიარებულია კინემატოგრაფისტთა ფართო წრეებში და საგანგებო ბჭობის ღირსია.

რაც შეეხება ჩემს პირად შთაბეჭდილებებს თბილისში გატარებული დღეების თაობაზე, საგანგებოდ უნდა ვთქვა, რომ ყოველი ჩამოსვლა საქართველოში, თქვენს დედაქალაქში ჩემთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გულის დღეობაა", სულის ერთგვარი დღესასწაულია. ბევრი რამ მაკავშირებს საქართველოსთან, მის კინემატოგრაფთან ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა, მახსოვს, მიხა ცხაკაიას ქუჩაზე შესანიშნავ ხელოვანთა ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას სტუმარი ვიყავი. ეს მეგობრობა ახლა მათს ჩინებულ შვილებთან ელდართან და გიორგისთან მეგობრობაში გადაიზარდა. მე მათ ვიცნობდი, როცა ისინი სამი, ოთხი, ხუთი წლისანი იყვნენ. როგორ შეუმჩნევლად წამოიზარდნენ ისინი და რა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ქართული კინოს ავანგარდში!

საქართველოში ბევრი მოწაფე მყავს. და პირველი, რასაც ქართველ კინემატოგრაფისტებს ვუსურვებდი, ის არის, რომ ახალ-ახალი წარმატებები მოეპოვებინოთ, რადგან თქვენი წარმატებები ჩვენ საკუთარ წარმატებებად მიგვაჩნია.

**ლ. კულიჯანოვი:** ახლახან დამთავრებული სამდივნოს სხდომა იმდენად დიდმნიშვნელოვანი და იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ, დარწმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს დავუბრუნდებით ხოლმე მას. გამართული სხდომის სარგებლობა ორმხრივია და ეს სარგებლობა ყველგან გავრცელდება ჩვენს ქვეყანაში, რადგან მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული კინემატოგრაფისტები.

ჩვენ გამოგვივიდა ქართული კინოს მოტრფიალე ადამიანთა ღრმაშინაარსიანი, გონივრული და გულახდილი საუბარი. და ეს მკაფიოდ გამოვლინდა ყველა გამოსვლაში. ეს განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის, იმ კაცისათვის, რომელიც აქ დაიბადა და გაიზარდა, კაცისათვის, რომელსაც ახსოვს ძველი ქართული „სახკინმრეწვი", პერესტიანი და ქართული კინემატოგრაფიის სხვა ფუძემდებლები...

სასიამოვნოა თქვენში მომხდარი ცვლილებების დანახვა, ქართულ კინემატოგრაფში იმათი ხილვა, ვინც ჩემს დროს სწავლობდა, ვისაც მე ვასწავლიდი. ძალიან კარგია, რომ ასე გაიზარდა კინემატოგრაფი. ჩვენ ვიყავით თქვენს სტუდიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე რეჟისორი, ვნახეთ თქვენი წინსვლა, თქვენი განვითარება, რაც ჩანს კიდეც თქვენს ფილმებში, თუმცა ისინი, ისევე როგორც ყველგან, ტოლფასოვანი არ არის, გვხვდება უფერული ფილმებიც, მაგრამ თუ ზემოდან დავიწყებთ, ათვლის წერტილი თქვენთან ძალზე მაღალია. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის სურათებზე, რომლებსაც შეეხო სერგი გერასიმოვი და რომლებიც, უდავოდ, მშვენიერი ფილმებია.

რა შეიძლება კიდევ ითქვას? ისღა მრჩება, რომ ჩემს თანამემამულეებსა და კოლეგებს ახალ-ახალი წარმატებანი ვუსურვო.

**ჩ. აიტმატოვი:** თავდაპირველად არ შემიძლია არ გავიხსენო ახლახან აქვე, ტელევიზიაში გამართული საუბარი გრიგოლ აბაშიძესთან. რა თქმა უნდა, ჩვენი საუბარი ლიტერატურას ეხებოდა, მაგრამ ჩვენ უნებურად ვუბრუნდებოდით სამდივნოს სხდომას, კინემატოგრაფს, და სწორედ ამ ნიშნით დამთავრდა ეს საუბარი. და მე არ ვწუხვარ ამას, რადგან ლიტერატურა, კინო — ყოველივე ეს ხელოვნებაა, სადაც უაღრესად საჭიროა ურთიერთკავშირი...

სრულ კმაყოფილებას ვგრძნობ იმის გამო, რომ თქვენ შორის ვიმყოფები და ამ საუბარში ვმონაწილეობ. ქართული კინოს გამოცდილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის — საერთოდ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ურთიერთკავშირი, ურთიერთგავლენა,—იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვპოულობთ ყველაზე ორგანულ ბუნებრივ თანაფარდობას, ურთიერთმოქმედებას და ურთიერთდაკავშირებული ეროვნული და ინტერნაციონალური საწყისების, ფორმისა და შინაარსის, საერთოდ ხელოვნების განვითარებას. იმიტომ, რომ ეს არის პრობლემა, რომელიც ღრმა ფიქრს მოითხოვს, — როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ინტეგრირებული მომენტები, არ დავადგეთ ხელოვნური ურთიერთგავლენის მცდარ გზას, როგორ გავამდიდროთ ერთმანეთი და როგორ დავეხმაროთ ერთმანეთს ნამდვილად.

თქვენთან ჩვენ ვპოულობთ ამ მხრივ ბევრ აღმოჩენასაც და შეხედულებებსაც, რომლებიც როგორღაც ეთანხმება ჩვენს მუშაობას ამ მიმართულებებით, თანაც არა მარტო კინოში, არამედ ლიტერატურაშიც, საერთოდ კულტურაში.

ჩვენი სამდივნო ამ პრობლემასაც ემსახურება, და დამთავრებული სხდომის მასალებს, დარწმუნებული ვარ, ყველგან დიდი ინტერესით შეხვდებიან, მოისმენენ და წაიკითხავენ, რაც სასარგებლო იქნება.

რა უნდა გითხრათ საქართველოზე? გული მწყდება, რომ მივდივარ. სერგი გერასიმოვმა თბილისში ჩამოსვლას „გულის დღეობა" უწოდა. სამწუხაროდ, მე არცთუ ისე ხშირად ჩამოვდივარ თქვენთან. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მეორედ ვარ საქართველოში, და გასაოცარი შთაბეჭდილება მიმყვება, მე ვიტყოდი, გასაოცარი აღმოჩენაა ჩემთვის თქვენი რესპუბლიკა. აქ ბევრი ისეთი რამ ვნახე, რომ ბედნიერი ვიქნებოდი, დამენახა ჩემთან, ჩემს ხალხში, ჩემი ხალხის კულტურაში. სწორედ ამ გრძნობით მივემგზავრები დღეს აქედან.

### ეკრანის დიდი სიმართლე

*მრავალ მაგიდას უსხედან ს. გერასიმოვი, ლ. კულიჯანოვი, ჩ. აიტმატოვი, ა. კარაგანოვი*

**ა. კარაგანოვი:** სერგი გერასიმოვმა ახსენა შეხვედრა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამ საინტერესო და ნაყოფიერ შეხვედრაზე აღიძრა ტრადიციის საკითხი.

ქართული კინემატოგრაფი ერთ-ერთი უძველესია საბჭოთა კინემატოგრაფიაში. მაშასადამე, მას მდიდარი ტრადიციები აქვს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ საუბარში ჩვენ ვახსენეთ ფილმები „ელისო", „არსენა", „სვანეთის მარილი", „ხაბარდა". ყოველი მათგანი ნიშანსვეტია მთელი საბჭოთა კინოსათვის, თითოეული აღნიშნავს თავის გზას და ექნება გაგრძელება და მომავალი.

მაგრამ ტრადიციებს მხოლოდ მაშინ იცავენ, როცა ისინი ვითარდება.

კინემატოგრაფი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელოვნება, ხშირად ტალღისებურად ვითარდება, ზოგჯერ ამ ტალღებს ახალს უწოდებენ. მაგრამ როცა ტალღა ძველდება, მკვდარ ჭაობად გადაიქცევა.

მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ საქართველოს კინემატოგრაფიული კულტურა, რომელიც ძალზე მაღალია, მუდმივი თვითგანახლებით ცხოვრობს და არსებობს. არის ხოლმე შეფერხებები, „ბუქსირება", მაგრამ გენერალური პროცესი თვითგანახლების პროცესია. ამ ბოლო დროს კი თქვენთან შეიქმნა ფილმები, რომლებიც მოვლენაა მთელი საბჭოთა და მსოფლიოს კინოსათვის. ძირითადად ამ ფილმების ჟანრია ტრაგიკომედია, იგავი, ხალხური კინოკომედია. ეს ჟანრები ყოველთვის გაძლევთ საშუალებას — გამონახოთ ჭეშმარიტების კინემატოგრაფიული გამძლიერებლები ესე იგი ლიტერატურული, თეატრალური ხერხებით კი არა, წმინდა კინემატოგრაფიული საშუალებებით გადაჭრათ პრობლემები, რომლებსაც თავის მხრივ წყვეტენ თეატრიც და ლიტერატურაც. ასეთია ელდარ და გიორგი შენგელაიების, თენგიზ აბულაძისა და სხვათა ფილმები.

იყო პერიოდი, როცა ზოგიერთი ამხანაგი — აქაც და მოსკოვშიც შიშობდა, რომ თქვენს კინემატოგრაფს ჟანრული ცალმხრივობის საფრთხე ექმნებოდა. მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა ამ შიშის უსაფუძვლობა, ის, რომ ეს ცალმხრივობა არ არის თქვენს კინოში, რადგან თქვენ გაქვთ ეპიკური ფილმები, მაგალითად ომზე. ამ თვალსაზრისით ქართული კინოს დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ ფილმ „ჯარისკაცის მამის" გმირის ის ძეგლი, რომელიც გურჯაანშია აღმართული ომში დაღუპულთა მემორიალის ცენტრში, როგორც ხალხის სიამაყისა და სევდის ადამიანური განსახიერება. კინემატოგრაფიული გმირი ერის პატრიოტული გრძნობისა და ომში ხალხის გმირობის მოგონებათა გამოხატულება გახდა.

დღევანდელობის თემის დამუშავების თვალსაზრისით საინტერესო მოვლენაა ლანა ღოღობერიძის ფილმი, აგრეთვე საინტერესო ძიებით ფილმი წარმოგვიდგინა გიორგი შენგელაიამ — მხედველობაში მაქვს „ქვიშანი დარჩებიანო". ხოლო „თუში მეცხვარე" ნამდვილი გამარჯვებაა, რომელმაც უკლებლივ ყველა მოგვხიბლა ხალხის ცხოვრების ეროვნულ თავისებურებაში ჩაწვდომით, იმის უნარით, რომ ზედმიწევნით და ღრმად გვიჩვენოს გამრჯე ქართველის ზნეობრივი სახე, ეროვნული ხასიათის ის ზნეობრივი საფუძვლები, რომლებიც არამც და არამც არ უნდა დავუტოვოთ გუშინდელ დღეს, უნდა გადავიტანოთ ხვალინდელ დღეში, შევაერთოთ და შევურწყათ ისინი რაღაც თვისებებს, რომლებსაც ხალხური ზნეობის სოციალისტური განვითარების, ხალხის ცხოვრებისეული ტრადიციების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე პროცესი იძლევა.

რა თქმა უნდა, ქართულ კინოს აქვს თავისი პრობლემები. და მათგან უპირველესი, ალბათ, მაყურებლის გულის მონადირებაა. ქართველმა ოსტატებმა, ჩემი აზრით, უწინარესად უნდა იზრუნონ ახლა იმისათვის, რომ ეს ფაქიზი, პოეტურად გულში ჩამწვდომი კინემატოგრაფი უფრო აქტიურად და უფრო ძლიერად იზიდავდეს მაყურებელს.

### ა. ჯანტურია



გარდაიცვალა წალენჯიხის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი ნიჭიერი ორგანიზატორი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ანდრო გელას ძე ჯანტურია.**

ა. ჯანტურია დაიბადა 1908 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1936 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.

1936-1937 წლებში მუშაობდა კრასნოდარის მხარის ტულსკის რაიონში ზოოტექნიკოსად, 1938 წელს დანიშნეს წალენჯიხის რაიონში უფროს ზოოტექნიკოსად, შემდეგ კი აირჩიეს ხუდონში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1941 წლიდან 1943 წლამდე ა. ჯანტურია იყო ჯვრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1943-1947 წლებში კი წალენჯიხის რაიმიწგანის გამგე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

1947-1952 წლებში ა. ჯანტურია მუშაობდა საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის მდივნად, ხოლო 1952 წლიდან პენსიაში გასვლამდე — წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. ჯანტურიას დამსახურება. დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით.

პრინციპული, მებრძოლი კომუნისტის ა. ჯანტურიას ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამოსაქმეთა გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1939 წლიდან რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი**

**ანდრო გელას ძე ჯანტურია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## პარგი განწყობილების ქრონიკა

### გამარჯვების სიკეთე

**ყველას დიდი სიხარული გვაქვს დღეს. მაღალი ჯილდო, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა, მისი თითოეული მშრომელის ალალი, გამრჯე კაცის დამსახურებაა და ამდენად ზედმეტიც კი არის იმის თქმა, რაოდენ დიდია ყოველი ჩვენგანის სიხარული. ამ ბედნიერების თანამოზიარე ვარ მეც — ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის პირველი ფერმის პირველი ბრიგადის თავჩობანი, რომელსაც საკუთარი შრომით მოპოვებული პირადი სიხარული არასოდეს მომკლებია.** მიმდინარე ხუთწლედის მეორე წლის გარჯისათვის რაიონის ხელმძღვანელობამ რიგგარეშედ გადმომცა მსუბუქი ავტომანქანა „გაზ-24". უსაზღვროდ გახარებულნი არიან ბრიგადის სხვა მწყემსებიც, რომლებსაც ხუთწლედის მესამე წლის შედეგების მიხედვით 5.500 მანეთის პრემია და 100 ბატკანი გადაეცათ.

და მაინც ახლანდელი საზეიმო განწყობილება გამორჩეულია — წელს ხომ ახმეტის რაიონმა გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ეს კი იმის უტყუარი დასტურია, რომ ჩემი რაიონის თითოეულ მშრომელს გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი რესპუბლიკის საერთო წარმატებაში. ამაში ჩვენი ბრიგადის მწყემსების არსენ და ლაზარე თავბერიძეების, აბრამ თილიძის, დამიანე ხუტიძის, იკალე აქიმიძის, მოსე კაიშვილის წვლილიც არის.

ზამთრის საძოვრებიდან, ამ დიდი სიხარულის მოზიარენი ჩვენი რესპუბლიკისა და ჩემი რაიონის მშრომელებს გულითადად მივულოცავთ დიდ ჯილდოს. ჩვენის მხრივ ვუპატაკებთ მათ, რომ ბრიგადის 1780 სული ცხვარი სანიმუშოდ გამოვაზამთრეთ, 994 დედა ცხვარზე ამდენივე ბატკანი მივიღეთ. პირობას ვდებთ, რომ სამშობლოს უფრო მეტ ძვირფას მატყლს, ყველსა და ხორცს ჩავაბარებთ.

**ე. თავბერიძე,**

**ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 ფერმის პირველი ბრიგადის თავჩობანი, ლენინის ორდენოსანი.**

### კოლექტივმა დამაფასა

**სასიხარულოა ის დიდი წარმატებები, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოიპოვეს. ეს სიხარული იმითაც გვიორკეცდება, რომ ამ წარმატებებში მნიშვნელოვანია აჭარის მშრომელთა, მათ შორის ჩემი მშობლიური საწარმოს — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის წვლილი. მარტო ისიც კი რა ბევრის მთქმელია, რომ ჩვენი ქარხნის პროდუქციის ნახევარზე მეტი ხარისხის ნიშნით გამოდის, ხოლო შარშან გეგმის გადამეტებით ასობით ათას მანეთზე მეტი პროდუქცია ვაწარმოეთ.**

ჩვენში დიდი ხანია ტრადიციად დამკვიდრდა სახელმწიფო გეგმების ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შესრულება. ჩვენს მიმართ არც პარტია და მთავრობა რჩება ვალში. ნაყოფიერი შრომისათვის ყოველგვარი პირობები გვაქვს შექმნილი, საწარმო თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი.

საერთო სიხარულს არ შეიძლება ბა ჩემი და ჩემი ოჯახის სიხარული არ შევუერთოთ. კოლექტივმა დააფასა ჩემი შრომა ამ სადღესასწაულო დღეებში—მე, და ათობით მენავთობეთა ოჯახმა ახალი ბინები მივიღეთ.

ამ დიდი ამაგის სანაცვლოდ კვლავაც დაუღალავად ვიშრომებ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქარხნის საკეთილდღეოდ.

**ვ. ლორთქიფანიძე,**

**ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი.**

### მეგობრობა გზად და ხიდად

**ონი. რამდენიმე წელიწადია ერთმანეთს ეჯიბრებიან ონისა და ჯავის რაიონების მშრომელები. სისტემატურად ჯამდება შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგები, რეგულარულად ეწყობა ურთიერთშეხვედრები, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები.**

ამ ურთიერთმეგობრობის კიდევ ერთი დასტური იყო ის, რომ ამ დღეებში ონის რაიონს ესტუმრა ჯავის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. სტუმარ-მასპინძლები ეწვივნენ ონის საწარმოებს და დაწესებულებებს, ისაუბრეს ურთიერთშეჯიბრებით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შესახებ, გააფორმეს ახალი ვალდებულებები 1979 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

დასასრულ ონის კულტურის სახლში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ონის და ჯავის რაიონების თვითმოქმედმა კოლექტივებმა, ონის კულტურის სახლის მუშაკებმა სტუმრებს წარმოუდგინეს კომბინირებული პროგრამა „მეგობრობა".

**ნ. დუშუაშვილი.**

### ახალმოსახლეობა იზეიმეს

**ცხაკაია.** გეჯეთი ერთ-ერთი ულარიბესი სოფელი იყო რაიონში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფელმა სახე იცვალა, წელში გაიმართა და, მისი მოსახლეობაც შეძლებულად ცხოვრობს. ახლახან ახალი სახლების მშენებლობა დაამთავრეს ციალა და დავით გოგოლაძეებმა, ნ. ოჩიგავას ოჯახმა, ო. გონონაიამ, ვ. ჩემიამ, ევ. ჯლამაძემ, ს. ბერაიამ, ნ. ჭეიშვილმა და სხვებმა. ისინი ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობენ და ყოველწლიურად 6.500-6.700 მანეთს იღებენ.

**ბ. მილიუტინი,**

**„კომუნისტის" საკ. კორ.**

### ფინელები საქართველოს ეცნობიან

**ჰელსინკი.** (საკდესის კორ.). ლენიტა აირისტო უკვე მეორედ ეწვია საქართველოს. იგი მოხიბლეს ქართველმა ხალხმა, ძველმა კულტურამ, მდიდარმა ტრადიციებმა, წეს-ჩვეულებებმა, სამხრეთულმა ტემპერამენტმა, მხიარულმა ხასიათმა, ბუნების სილამაზემ, წერს ფინელ ქალთა უდიდესი ყოველკვირეული ჟურნალი „ანა".

ამ ჟურნალის ორ ბოლო ნომერში საუბარია საბჭოთა საქართველოს შესახებ, როგორც ფინეთის ტურისტული ბიუროს „ფინსოვეტურსიის" ხაზით ახალი ტურისტული მარშრუტის შესახებ.

ლენიტა აირისტო ხელმძღვანელობს მოდელიორების, მანეკენების ჯგუფს და წარმოადგენს სეზონის სიახლეებს. იგი თავის ჯგუფთან ერთად რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში: მოსკოვში, ლენინგრადში, საქართველოში, სადაც გადაიღეს მოდების ჩვენება.

ლ. აირისტო თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს ჟურნალ „ანას".

„თბილისი, — წერს ლ. აირისტო,— დამამახსოვრდა როგორც ხალისით აღსავსე და ლამაზი ქალაქი. განსაკუთრებით თვალწარმტაცია მისი ძველი ნაწილი მდინარე მტკვრის ნაპირების გაყოლებით, სადაც ვიწრო შესახვევები და მოჩუქურთმებულ აივნიანი სახლებია".

### ალჟირის ახალი მთავრობა

**ალჟირი.** (საკდესი). ალჟირში პრეზიდენტის ამასწინანდელი არჩევნების შემდეგ შეიქმნა ახალი მთავრობა. ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა მოჰამედ ბენაჰმედ აბდელგანი. ა. ბუტეფლიკა და ა. ტ. იბრაგიმი გახდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი მინისტრები, ა. მ. ს. ბენიაჰია — საგარეო საქმეთა მინისტრი. განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური აპარატის კოორდინატორის პოსტი მ. ს. იაჰიაუიმ დაიკავა.

### ფოტოინფორმაცია



**წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და მალის თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპები. იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მხარეს და უწინარეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს.**

**სურათზე: დედაქალაქის წიგნის მაღაზია „ლიბრერი პონიმერი" საბჭოთა ლიტერატურის გამოფენა-ვაჭრობის დროს, რომელიც მოაწყო საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნმა". ი. ზოტინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).**

## საერთაშორისო ცხოვრება — დედამიწის ზურგზე

### ჩინელ აგრესორთა დანაშაული

**ჰანოი.** (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ჩინელი ოკუპანტები, მიუხედავად პეკინის მლიქვნელური განცხადებებისა ვიეტნამის ტერიტორიიდან თავისი ჯარების გაყვანის შესახებ, განაგრძობენ დანაშაულებრივ აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩრდილოეთის პროვინციებში.

5 მარტიდან დაწყებული ჩინეთის არტილერია გეგმაზომიერად უშენს ცეცხლს პროვინციულ ცენტრს — ქალაქ ლანგშონს. მტრის ნაღმებმა დაანგრია ბევრი სამრეწველო საწარმო, ადმინისტრაციული შენობა, საცხოვრებელი სახლი. აგრესორებმა დაწვეს ქალაქის ბიბლიოთეკა, რომელშიც 100 ათასამდე წიგნი იყო, მოსპეს ელექტროგადამცემი ხაზი.

მძიმე ბრძოლები გრძელდებოდა 8 მარტს ლანგშონის მისადგომებთან. ვიეტნამის შეიარაღებული ძალები და სახალხო მოლაშქრენი იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შეტევებს, მწყობრიდან გამოიყვანეს 300-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი, აგრესორმა ტექნიკის დიდი ზარალი განიცადა.

საომარი მოქმედება, როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, გრძელდება აგრეთვე ლაიტიაუს, ხოანგლიენშონის, კაობანგისა და კუანგნინის პროვინციებში. ლაიტიაუს პროვინციის ფონტჰოს რაიონში მოწინააღმდეგე ამაგრებს დაკავებულ პოზიციებს, უტევს ვიეტნამის ჯარის ნაწილებს. არმიის ქვეგანაყოფებმა და რაიონის სახალხო მოლაშქრეებმა საპასუხო დარტყმა აგემეს მოწინააღმდეგეს და დაუხოცეს ასობით ჯარისკაცი.

ფართო ხასიათის გახდა ოკუპანტთა მაროდიორობა, ისინი ძარცვავენ ქონებას. მაროდერებმა ცეცხლი წაუკიდეს ბევრ საცხოვრებელ სახლს ლანგშონისა და ლოკბინის სამაზრო ცენტრის მახლობლად, ხელთ იგდეს პირუტყვი და ადგილობრივი მოსახლეობის მარცვლეულის მთელი მარაგი. ჩინელებმა დაშალეს და თავის ქვეყანაში გაგზავნეს ლანგშონის ელექტროსადგურის, მეცხოველეობის საკვების საწარმოსა და ცემენტის ქარხნის ყველა გადარჩენილი მანქანა და მექანიზმი.

**პარიზი.** (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლანგშონიდან გვატყობინებს: ვიეტნამის ჯარებმა 8 მარტს კვლავ სრული კონტროლი დაუწესეს ამ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქს. მაგრამ განთავისუფლებულ ლანგშონს სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ჩინეთის მძიმე არტილერიის მიერ ცეცხლის დაშენის შედეგად ეს პროვინციული ცენტრი დიდად დაზიანდა. დანგრეულია რკინიგზის სადგური, ელექტროსადგური, სამრეწველო საწარმოები.

**ნიუ-იორკი.** (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" 9 მარტს აღნიშნავდა, რომ ჩინეთის ჯარები, რომლებიც თავისი საზღვრისაკენ მიიწევენ, გზაზე ანადგურებენ ხიდებს, რკინიგზებს, საავტომობილო მაგისტრალებსა და სხვადასხვა ნაგებობას.

### საპროტესტო განცხადება

**ტოკიო** (საკდესი). იაპონიის მეცნიერებისა და კულტურის 200-მდე მოღვაწემ, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს საპროტესტო განცხადება ამერიკა-სეულის ერთობლივი სამხედრო წვრთნის „ტიმ სპირიტ-79"-ის წინააღმდეგ, რომელიც 1 მარტიდან მიმდინარეობს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. მათ დაგმეს ეს დიდი მასშტაბის მანევრები 176 ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის მონაწილეობით, როგორც პროვოკაციული წამოწყება, რომელიც ზიანს აყენებს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. განცხადება შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას გაიყვანოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიარაღებული ძალები იაპონიიდან და სამხრეთ კორეიდან.

### „კომუნისტის" კომენტარი

### როცა მთა მიდის მუჰამედთან

**იერუსალიმში ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათის ვიზიტის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ყოვლისმომსწრე დასავლელ მიმომხილველებს კიდევ რაიმეთი გააოცებდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გენეზისი. და მაინც დასავლურმა პრესამ სენსაციად აღიქვა ამერიკის პრეზიდენტის ჯ. კარტერის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში. ამავე დროს, თუ ღრმად ჩავუკვირდებით მოვლენებს, ორივე პრეზიდენტის „სენსაციური" ვიზიტები, მიუხედავად იმისა, რომ მათ წელიწად-ნახევარი აშორებთ ერთმანეთს, გარკვეულ კანონზომიერებად შეიძლება ჩაითვალოს.**

**რამ განაპირობა კარტერის „სენსაციური" გადაწყვეტილება? რაც უფრო ახლოვდება პრეზიდენტის მომავალი არჩევნები, მით უფრო მწვავედ ესაჭიროება მას ეფექტური (სწორედ უფრო ეფექტური, ვიდრე რეალური) მიღწევები საგარეო პოლიტიკის სფეროში. მით უმეტეს, რომ საშინაო პოლიტიკაში ეს სულ უფრო ძნელად მისაღწევი ხდება.**

**ამას ისიც დავუმატოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში კატასტროფულად დაეცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოპულარობა ქვეყნის შიგნით.**

**ამ ვითარებაში კემპ-დევიდის გადაქცევა გაცრუებული იმედების, დიპლომატიური ბლეფის სინონიმად, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველია კარტერისათვის.**

**მით უმეტეს, რომ, როგორც ამერიკული ყოველკვირეული „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი" აღნიშნავს, ისრაელისა და ეგვიპტის სეპარატული ხელშეკრულება მხოლოდ ეტაპია ახალი რეგიონული ბლოკის შექმნის გზაზე, ბლოკისა, რომელმაც შაჰის ირანის ფუნქციები უნდა შეასრულოს ახლო აღმოსავლეთში.**

**„ვაშინგტონის ჩანაფიქრით, — წერს ყოველკვირეული, — ეს უნდა იყოს არაფორმალური, მძლავრი ბლოკი" ეგვიპტის, ისრაელისა და საუდის არაბეთის მონაწილეობით. ამერიკა იკისრებს „კონსულტანტისა და იარაღის მიმწოდებლის როლს". თვითონ კარტერმა პირველ მარტს თეთრ სახლში გუბერნატორების პატივსაცემად გამართულ სადილზე განაცხადა: „მე მიმაჩნია, რომ ირანის ამბები აძლიერებს ეგვიპტის, როგორც არაბულ სამყაროში მასტაბილებელი ფაქტორის მნიშვნელობას, ვინაიდან ირანი უკვე აღარ ჩაითვლება ამ რაიონის ჟანდარმად".**

**უჩვეულო გულახდილობაა „მორალისტი" პრეზიდენტისათვის. საინტერესოა, რომ იქვე პრეზიდენტი ირანის რევოლუციით შეეცადა ისრაელის შეურიგებელი პოზიციის გამართლებას — „ისრაელი, რომელიც ხედავს, თუ რა ღრმა ძირეული ძვრები განიცადა ირანმა, ალბათ არ მოინდომებს სინის ნახევარკუნძულიდან წასვლას".**

**გარკვეული საზღაურის საფასურად (უპირველეს ყოვლისა ისრაელის) დასავლეთს თავის სამსახურს — რეგიონის ჟანდარმის როლს სთავაზობს ეგვიპტის პრეზიდენტიც. შექმნილ სიტუაციაში ბევრი დასავლელი მიმომხილველი კარტერის ვოიაჟს განიხილავს როგორც პრინციპულად წაგებული პარტიის გადარჩენის სასოწარკვეთილ ცდას.**

**ს. ცინცაძე,**

„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

### ჭადრაკის დაფებთან

#### ექვსიდან ექვსი

**ქალთა** საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ბელგრადში მიმდინარეობს, გათამაშდა გადადებული პარტიები. ნანა ალექსანდრიამ კვლავ იმარჯვა და პოლონელ გრაჟინა შმაჩინსკასთან გადადებული პარტია მოგებით დაამთავრა. ამრიგად, ექვსი ტურის შემდეგ ქართველ მოჭადრაკეს ქულათა მაქსიმუმი (6) აქვს და ასპარეზობას ერთპიროვნულად ლიდერობს. მსოფლიოს ჩემპიონმა, მაია ჩიბურდანიძემ ჯერჯერობით 5 შეხვედრა გამართა და 4 ქულა დააგროვა.

#### ვითარება ბუნდოვანია

**მიუნხენში** მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეცხრე ტურში საბჭოთა დიდოსტატმა სპასკიმ წააგო შეხვედრა ლიებთან (გფრ), ახლა სპასკის 9 ნათამაშევი პარტიიდან 6 ქულა აქვს. დაწინაურდნენ ჰიუბნერი (გფრ) და ანდერსონი (შვეცია), რომლებმაც 11-11 პარტია ითამაშეს. პირველს 7,5 ქულა აქვს, მეორეს — 6,5 და ერთი გადადებული შეხვედრა. 9 შესაძლებლიდან ბალაშოვს (სსრ კავშირი), სტინს (ინგლისი), უნციკერს (გფრ) და პახმანს (გფრ) 5-5 ქულა აქვთ.

#### ლიდერობს ტალი

**ტალინში** პაულ კერესის მემორიალზე გათამაშდა მეთორმეტე ტურის პარტიები. ლიდერებმა 11-11 შეხვედრა გამართეს და მათი სატურნირო მდგომარეობა ახლა ასეთია: ტალი — 8,5 ქულა, პეტროსიანი — 8, ვაჰანიანი — 7,5.

### სატურნირო ორბიტაზე

**სროლა.** ავსტრიის ქალაქ გრაცში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი. აქ თავი ისახელა უფელმა იგორ სოკოლოვმა, რომელმაც პნევმატური იარაღით „გაქცეულ ტახზე" სროლაში ყველას აჯობა (400-დან 337 ქულა) და კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა, ერევნელი ზინაიდა სიმონიანი უძლიერესი იყო პნევმატური პისტოლეტით სროლაში — 380 ქულა.

**მძლეოსნობა.** მონრეალში გაიმართა სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა მძლეოსნებმა ანგარიშით 156:89. ორი მსოფლიო მიღწევა ჰქონდათ ჩვენს სპორტსმენებს: კიეველ იური სედიხს წონის ტყორცნაში (23,46 მეტრი) და სოჭელ ევგენი ევსიუკოვს 3 კილომეტრზე სიარულში (11.31.1). ყველამ იცის, რომ სედიხი უროს მტყორცნელია და იგი ამჯერად მისთვის უჩვეულო სახეობაში ასპარეზობდა.

**თხილამურები.** საბჭოთა სპორტსმენი გალინა კულაკოვა მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. ამგვარი პრიზი წლეულს პირველად გათამაშდა. საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა უნდა გარკვეულიყო სეზონის უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული შედეგების საუკეთესო ჯამით. ბოლო ასპარეზობა მოეწყო ოსლოს მახლობლად. 10 კილომეტრზე რბოლაში კულაკოვამ ყველას აჯობა, საბოლოოდ 123 ქულა დააგროვა და თასს დაეუფლა.

რედაქტორი **გ. ბედინეიშვილი.**

### ტელევიზია

**12 მარტი**

**პირველი პროგრამით**

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია (ფ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე: „დინამო" (თბილისი)-„ურალმაში" (სვერდლოვსკი). ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინოჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.10 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.). 20.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე". მხატვრული ფილმი „ავი ძაღლი". პირველი სერია. (ფ.).

### რადიო

**13 მარტი**

**პირველი პროგრამით**

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ბალანჩივაძე. ბალეტი „მთების გული". ფრაგმენტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 11.45 — „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები", 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. ფოცხიშვილის ლექსები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — შ. მილორავა. სიმღერები, 13.40 — უკრაინული მუსიკის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". გ. ციციშვილი — „სძლიე სიხარულსა შენსა" (გაგრძელება), 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება", 19.00 — „როცა დაბრკოლებებს წარსს არ შეუხრი", 19.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.30 — „არწივები არ კვდებიან". დოკუმენტური მოთხრობა, 21.00 — ძილისპირული", 21.15 — რადიოსადგური „სიჰაბუკე", 23.30 — საოპერო მუსიკის კონცერტი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 13498 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.